საქართველოს მთავრობის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

№148 2020 წლის 23 იანვარი ქ. თბილისი

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გამოყოფის შესახებ

1. ცნობად იქნეს მიღებული, რომ:

ა) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ქონების გადასახადი, რომლის მობილიზება საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით ხორციელდება 15 ივნისსა და 15 ნოემბერს;

ბ) ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს 2020 წლის პირველ ნახევარში წარმოექმნება ფულადი სახსრების დეფიციტი ბიუჯეტით დაგეგმილი ვალდებულებების დასაფინანსებლად.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერის რესურსი გამოიყენოს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტისათვის დროებითი ფინანსური დახმარების გასაცემად.

3. ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს, საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული ღონისძიებების შეუფერხებელი დაფინანსების მიზნით, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-17 მუხლით გათვალისწინებული მუნიციპალიტეტებისათვის გადასაცემი ტრანსფერიდან დროებითი ფინანსური დახმარების სახით გამოუყოს არა უმეტეს 500 000 (ხუთასი ათასი) ლარისა.

4. დროებითი ფინანსური დახმარებით სარგებლობის ვადად განისაზღვროს არა უგვიანეს 2020 წლის 1 დეკემბრისა.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი გახარია**